საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ილარიონ ქართველის ცხოვრება

ილარიონ ქართველის ცხოვრება, IX ს. სასულიერო მოღვაწის, ილარიონ ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება. დღემდე მოღწეულია მისი ხუთი რედაქცია: ვრცელი ათონური (ხელნაწერი თარიღდება 1074-ით), მეტაფრასული (ხელნაწერთა უმრავლესობა XVIII ს-ით თარიღდება), მოკლე (XIII–XIV, XVIII სს.), ძვ. სვინაქსარული (XII ს-იდან) და გვიანდ. სვინაქსარული (XVIII ს-იდან) რედაქციები. მათი წარმომავლობისა და ურთიერთმიმართების შესახებ ორი ვარაუდია გამოთქმული: 1. ვრცელი ათონური რედაქცია ექვთიმე მთაწმინდლის მიერ ბერძნ. ენაზე დაწერილი ხოტბა-ენკომიის თავისებურად გადმოკეთებას, ხოლო მეტაფრასული რედაქცია, რ-ის ავტორად თეოფილე ხუცესმონაზონი არის მიჩნეული, ათონური რედაქციის გადამუშავებას უნდა წარმოადგენდეს (კ. კეკელიძე). მოკლე რედაქცია ამ ვარაუდის გამოთქმის დროს (1919–20) არ ყოფილა გათვალისწინებული (ხელნაწერი აღმოჩნდა 1946). 2. „ი. ქ. ც." ქართ. ენაზე დაიწერა (ბ. კილანავა, მ. დოლაქიძე); მისი ვრცელი ათონური და მეტაფრასული რედაქციები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა, თუმცა წყარო – თხზულების მოკლე რედაქცია – საერთო აქვთ. იგივე რედაქცია უდევს საფუძვლად სვინაქსარულსაც (ე. გაბიძაშვილი). ამ ვარაუდის თანახმად, ექვთიმე მთაწმინდლისა და თეოფილე ხუცესმონაზონის ავტორობის საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

„ი. ქ. ც-ში" აღწერილია მისი სამონასტრო მოღვაწეობა კახეთში, მოგზაურობა პალესტინაში, რომში, კონსტანტინოპოლში, თესალონიკესა და ბითვინიის ოლიმპზე. თხზულება საყურადღებოა ქართ. სამონასტრო კოლონიზაციის ისტ. შესწავლის თვალსაზრისით. ის ერთადერთი წყაროა, რ-იც გვაწვდის ცნობებს IX ს-ში ბითვინიის ოლიმპზე ქართველთა მოღვაწეობისა და კონსტანტინოპოლის მახლობლად ჰრომანას (რომანის) ქართველთა მონასტრის დაარსების შესახებ. თხზულების მეტაფრასული რედაქცია გამოსცა მ. საბინინმა

(1882), ვრცელი ათონური – მ. ჯანაშვილმა (1901), ძვ. სვინაქსარული – კ. კეკელიძემ (1919) და სხვ. რუსულად თარგმნეს ა. მურავიოვმა (1860) და მ. საბინინმა (1872), ლათინურად – პ. პეეტერსმა (1913).

ტექსტი: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ილ. აბულაძის რედ., წგ. 2–4, თბ., 1967–71.

ლიტ.: დ ო ლ ა ქ ი ძ ე მ., ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბ., 1974; კ ე კ ე ლ ი ძ ე კ., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, [ტ.] 4, თბ., 1957; მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1992; მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი ე., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998; ქართველ წმინ-დანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ. – ათენი, 2003; M a r t i n H i l a r d B., La pérégrination du moine géorgien Hilarion au IX siècle, «Bedi Kartlisa. Revue de Kartvélologie», vol. XXXIX, P., 1981; P e e t e r s P. S., Hilarion d'Iberie, «Analecta Bollandiana», XXXII, Brux., 1913.

მ. დოლაქიძე